საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/22 “ 16 ” მარტი 2022 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ი. ბონდარენკოს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლედ დანიშვნის შესახებ

„ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლის კონკურსის გარეშე დანიშვნის საკითხის ინიცირების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის 17 დეკემბრის №1/197 განკარგულებით ინიცირებულ იქნა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში მოსამართლის დანიშვნის საკითხი. აღნიშნულ პალატაში მოსამართლის 8 საშტატო ერთეულია, ხოლო უფლებამოსილებას 4 მოსამართლე ახორციელებს.

გამოცხადებულ ვაკანსიაზე დარეგისტრირდა 2 მოსამართლის განცხადება.

ირაკლი ბონდარენკოს აქვს მოსამართლედ მუშაობის 13-წლიანი გამოცდილება. იგი სხვადასხვა დროს იყო ხელვაჩაურის რაიონული და სიღნაღის რაიონული სასამართლოების მოსამართლე და თავმჯდომარე. ამჟამად, იგი უფლებამოსილებას თბილისის სააპელაციო სასამართლოში ახორციელებს. მისი სამოსამართლო სტაჟისა და გამოცდილების გათვალისწინებით ი. ბონდარენკო შეძლებს წარმატებით განახორციელოს უფლებამოსილება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში.

აღნიშნულის გათვალისწინებით, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 37-ე მუხლის შესაბამისად, ირაკლი ბონდარენკო გათავისუფლდეს თბილიისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლის თანამდებობიდან და თავისი სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის ფარგლებში დაინიშნოს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლედ, 2022 წლის 23 მარტიდან.

ნინო ქადაგიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე